

შპს დიჯიტალ სექიურიტის საქართველო

ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის I კვარტალი

სარჩევი


მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ზოგადი ინფორმაცია	7
საოპერაციო გარემო	7
მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	7
განმარტებითი შენიშვნები	11

შპს "დიჯიტალ სექიურითის საქართველო"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2026 წლის 31 მარტის პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა	I კვარტალი 2026	I კვარტალი 2025
ამონაგები	-	-
ამონაგების თვითღირებულება	-	-
სულ საოპერაციო შემოსავალი	-	-
პერსონალის ხარჯები	(66,717)	-
საიჯარო ხარჯი	(6,089)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(370)	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,268)	-
სულ საოპერაციო ხარჯი	(83,444)	-
საპროცენტო შემოსავლები	14,425	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
კურსთა სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი)	106	-
სულ არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	14,531	-
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
პერიოდის ზარალი	(68,913)	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ პერიოდის სრული ზარალი	(68,913)	-

ხელმძღვანელობის სახელით




ნატო დავითაშვილი
დირექტორი

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 მარტი 2026	31 დეკემბერი 2025
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		9,736	10,071
არამატერიალური აქტივები		8,155	5,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>17,891</u>	<u>15,071</u>
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი ავანსები		5,872	7,059
ფული და ფულის ექვივალენტები	1	514,393	517,696
სულ მიმდინარე აქტივები		<u>520,265</u>	<u>524,755</u>
მთლიანი აქტივები		<u>538,156</u>	<u>539,826</u>
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	2	714,999	642,399
დაგროვილი ზარალი		(111,231)	(111,231)
პერიოდის ზარალი		(68,913)	-
სულ კაპიტალი		<u>534,855</u>	<u>531,168</u>
ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,816	8,458
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		486	200
სულ ვალდებულებები		<u>3,302</u>	<u>8,658</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		<u>538,156</u>	<u>539,826</u>

ხელმძღვანელობის სახელით




ნატო დავითაშვილი
დირექტორი

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2026 წლის 31 მარტის პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2025		-	-	-
კაპიტალის გაზრდა	2	642,399	-	642,399
დაგროვილი ზარალი		-	(111,231)	(111,231)
ნაშთი 31 დეკემბერი 2025		642,399	(111,231)	531,168
კაპიტალის გაზრდა		72,600	-	72,600
სულ პერიოდის სრული ზარალი		-	(68,913)	(68,913)
ნაშთი 31 მარტი 2026		714,999	(180,144)	534,855

ხელმძღვანელობის სახელით




ნატო დავითაშვილი
დირექტორი

შპს „დიჯიტალ სექიურიტის საქართველო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2026 წლის 31 მარტის პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა	I კვარტალი 2026	I კვარტალი 2025
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები; გადახდილი საიჯარო ხარჯი	(87,137) (6,089)	- -
გადახდილი ხელფასები	(66,945)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(14,103)	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები; კაპიტალის გაზრდა	87,025 72,600	- -
საპროცენტო სარგებელი	14,425	-
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები; ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,190) -	- -
არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,190)	-
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა მატება/(კლება)	(3,302)	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	517,696	-
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	514,393	-

ხელმძღვანელობის სახელით



ნატო დავითაშვილი
დირექტორი

ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "დიჯიტალ სექიურითის საქართველო"-ს (ს/კ 404727426) (შემდგომში "კომპანია") ფინანსურ ინფორმაციას. შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“ დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2024 წლის 05 ივნისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, ქართული კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ნინო და ილია ნაკაშიძეების ქუჩა, N1, (ყოფ. ავლევი), ბინა N3, შენობა N3.

2026 წლის მიმდინარე პერიოდისა და 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის სს „ბროკერი საქართველო“ (ს/კ 404725222), რომლის დამფუძნებელი საკონტროლო წილით არის ფიზიკური პირი ნატიგ კამრანოვ, პ/ნ: FJY5GR, C03509904 (აზერბაიჯანი). ანგარიშგების გამოცემის მომენტში საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით კომპანიის დირექტორი (ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი) არის ნატო დავითაშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის მიმართულება მოიცავს ფასიან ქალაქდებათა და სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებულ საბროკერო მომსახურებას. 2025 წლის 08 მაისს კომპანიამ საქართველოს ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის 2025 წლის 8 მაისის N8 განკარგულებით მიიღო საბროკერო საქმიანობის ლიცენზია, შესაბამისად კომპანიას 2024 წელს ოპერაციები არ განუხორციელებია.

საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითადად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორიც საქართველოა, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის მიმართ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც, როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე.

მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად. კომპანიას აქვს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, რაც დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიას შეეძლება აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ნორმალური საქმიანობის პირობებში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

უცხოური ვალუტები

ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკურსო სხვაობით, შედის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

2026 წლის 31 მარტი
(ქართულ ლარში)

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კატეგორია.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები

კომპანია არამატერიალური აქტივების აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის პირობებში მომსახურების შეძენაზე წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლებისადმი. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შეფასებული; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შეფასებული; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანია ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს საკომისიო სავაჭრო პლატფორმაზე კლიენტების დავალებით ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მომსახურების გაწევისთვის.

ამონაგები საბროკერო საქმიანობიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საერთაშორისო საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას. მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას (აქციების ყიდვა, გაყიდვა, თანხების გადარიცხვა და სხვა), დროის კონკრეტულ მომენტში ხდება, აღნიშნულ ოპერაციებზე ამონაგები ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

ხარჯის აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე საოპერაციო იჯარის გადახდებს წრფივი მეთოდით აღიარებს, როგორც ხარჯს იჯარის პირობების შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ავანსად გადახდილი აქვს საოფისე ფართის იჯარა 2,059 ლარის ოდენობით.

2026 წლის 31 მარტი
(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

განმარტებითი შენიშვნები

1. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 მარტი 2026	31 დეკემბერი 2025
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14,393	17,696
ვადიანი დეპოზიტი რეზიდენტ ბანკში	500,000	500,000
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	514,393	517,696

2025 წლის 11 ნოემბერს კომპანიამ გახსნა ანაზარი რეზიდენტ ბანკში, რომლის დარიცხული საპროცენტო შემოსავალი 2026 წლის განმავლობაში შეადგენს 14,425 ლარს (2025 წელს: 4,808 ლარი).

2. საწესდებო კაპიტალი


სს „ბროკერი საქართველოს“ მიერ 2026 წელს მოხდა კომპანიის საწესდებო კაპიტალში თანხის შეტანა შემდეგნაირად:

29 და 30 იანვარს - 6,000 და 15,000 ლარი;

27 თებერვალს - 11,100 ლარი;

26 მარტს - 40,500 ლარი.

ხელმძღვანელობის სახელით



ნატო დავითაშვილი
დირექტორი